

**რეფლექსურობის კატეგორია და
'თავ' უკუქცევითი ნაცვალსახელი
ქართულში**

**CATEGORY OF REFLEXIVITY AND
GEORGIAN REFLEXIVE PRONOUN 'TAVI'
(HEAD) IN GEORGIAN**

რუსუდან ზეკალაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო, თბილისი

Rusudan Zekalashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia

ABSTRACT

The represented article discusses one of the most actual issues of linguistics, namely, the category of reflexivity, also those lexical means by which the features are shown in Georgian. The history of studying the mentioned category in Georgian linguistics as well as in foreign languages, are briefly discussed in the article. Special attention is paid to the newest views of the issue shown in the latest investigations.

The main point of our investigation is to study the reflexive pronoun 'tavi' (head = myself, itself, himself...), to show its morphological-syntactic characteristics in the Georgian language, and to find out the specifications of the constructions and their usage.

In our investigation, we have underlined the fact that it is necessary to show the difference between the narrow and the broad meaning of reflexivity. In its narrow meaning, reflexivity is characteristic of the pronoun 'tav' (head = 'self') and this pronoun formally represents the direct object but in its broader meaning, it also contains the forms of subjective version which have vowel prefix i-. The forms with the vowel prefixes are also considered reflexive forms, as well as one-valency verbs in which the action does not go on to the object, it does not leave the space of the subject.

The reflexive pronoun is derived through grammaticalization of the noun tavi (head) (a similar phenomenon occurs in some other languages as well). The word 'tavi' as a reflexive pronoun ('head' in the meaning of 'self') is also documented in some texts as being used earlier, in the Old and Middle Georgian language forms.

According to N. Amiridze, the simple and complex reflexives can be marked out as 1. Reflexive can be said simple when only the Georgian reflexive pronoun 'tavi' is connected to the verb; 2. Reflexive can be complex if the reflexive pronoun is accompanied by a possessive one ('chemi tavi' – myself; 'sheni tavi' – yourself, and so on).

The forms with the pronoun ‘tavi’ can be differentiated on the morpho-syntactic level in the following ways:

1. The pronoun ‘tavi’ belongs to the first group of so-called simple reflexives when it is usually used with the two- and three-valent verbs and in this case, the pronoun can replace the direct object when the subject and object are identical. Sometimes we can find out the fact of replacement of the indirect object and the subject by this pronoun as well, which takes place with the verbs of the second and third diathesis (for example: ‘tavis tavs emaleba’ – he hides from himself, ‘shens tavs elap’arak’ebi’ – you talk to yourself, ‘sak’utari tavi uq’vars’ – he loves himself...). It should be noted that the form of the subjective version of the verb is not always required when a reflexive pronoun is present.

2. The second group is represented by verbs that require the use of the pronoun ‘tavi’ (simple reflexive) and create fixed expressions. For example: ‘tavi sheik’ava’ – restrained himself, ‘tavi sheiktsia’ – had a good time for himself, ‘tavi moits’ona’ – praised himself, ‘tavi moit’q’ua’ – lied to himself, soothed himself by denying the reality.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, უკუქცევითობა, გრამატიკალიზაცია, უკუქცევითი ნაცვალსახელი ‘თავი’.

Keywords: Georgian language, Reflexivity, Grammaticalization, Reflexive pronoun ‘tavi’(‘head’).

1. შესავალი

1.1. რეფლექსურობის კატეგორიის შესახებ

რეფლექსურობა უნივერსალური სემანტიკური კატეგორიაა, რომლის გამოხატვის საშუალებები მრავალფეროვანია და შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე დონეს: მორფოლოგიურს, სინტაქსურსა და ლექსიკურს. მისთვის მთავარია ასახოს მოქმედების დაბრუნება (უკუქცევა) სუბიექტთან. სხვადასხვა ენის გრამატიკაში უკუქცევითი შინაარსის ფორმებს განიხილავენ ხან გვარის, ხან ქცევის კატეგორიაში, ზოგან კი დამოუკიდებელ კატეგორიად მიიჩნევენ. ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონის მიხედვით, რეფლექსურობა გვარის ერთ-ერთი სახეობაა აქტივ-პასივსა და კაუზატივთან ერთად (ЛЭС 1990: 160), თუმცა ეს შეხედულება არაა საყოველთაოდ გაზიარებული. რეფლექსივი „მიუთითებს, რომ მოქმედება მიმართულია თვით მოქმედი პირისაკენ, რომელიც ერთდროულად არის სუბიექტიცა და ამ მოქმედების ობიექტიც“ (ЛЭС 1990: 160).

ქართულ ენაში ზედაპირულ დონეზე პირის ნიშნებით შეუძლებელია გამოიხატოს სუბიექტისა და ობიექტის იდენტურობა (ანუ კორეფერენტულობა), დაუშვებელი კომბინაციაა: მე ვხატავ მეს*, მე-ს ნაცვლად ენამ გამოიყენა მე ვხატავ ჩემს თავს, შენ ხატავ შენ*-ის მაგივრად – შენ ხატავ შენს თავს; შესაძლებელია სუბიექტიცა და ობიექტიც იყოს მესამე პირი: ის ხატავს მას, მაგრამ აქ პირდაპირი ობიექტი განსხვავებული პირია, იდენტურობის შემთხვევაში კი ისევ საჭირო ხდება კუთვნილებითი ნაცვალსახელის დამატება: ის ხატავს თავის თავს.

როგორც ვხედავთ, რეფლექსური შინაარსის გადმოცემისას ენა იყენებს **ლექსიკურ** საშუალებას – ‘თავ’ უკუქცევით ნაცვალსახელს, რომელიც აღნიშნავს მოქმედების უკუქცევას სუბიექტთანვე: მას უწოდებენ **მარტივ რეფლექსივს**. როცა ‘თავ’-ს ემატება შესაბამისი კუთვნილებითი ნაცვალსახელი (ჩემი/ჩვენი, შენი/თქვენი, თავისი/თავიანთი), ეს უკვე **რთული რეფლექსივია** (იხ. Amiridze 2006: 142-153). ზმნასთან დაკავშირებული ‘თავ’ ნაცვალსახელი ფორმალურად ყოველთვის მესამე პირია, თუნდაც სიღრმისეულ დონეზე გულისხმობდეს პირველ ან მეორე პირს.

‘თავ’ არსებითი სახელის გრამატიკალიზაციის შედეგად მიღებული ნაცვალსახელის მნიშვნელობა სპეციფიკურია და ამიტომაც ნაცვალსახელებში ცალკე სახედ არის გამოყოფილი. ‘თავ’-ის გამოყენებისას სუბიექტის მიერ შესრულებული მოქმედება მიმართულია ისევ მისადმი, ანუ უკანვე უბრუნდება მოქმედ პირს. სუბიექტი (აგენსი) და პირდაპირი ობიექტი (პაციენსი) ერთი და იგივეა.

რეფლექსურობა ქართულში მოიცავს მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ლექსიკურ დონეებს. ვიწრო მნიშვნელობით, ის გამოხატავს სუბიექტ-ობიექტის იდენტურობას და მოქმედების უკუქცევას სუბიექტთან, ასევე კუთვნილება-დანიშნულებით დამოკიდებულებას სუბიექტისადმი. ფართო გაგებით, ქართულში რეფლექსურია ყველა ის ზმნა, რომელთა მოქმედება თავის თავში რჩება, არ გადადის სხვაზე, ანუ „მოქმედება სუბიექტის წრეს არ/ვერ სცილდება, სუბიექტის საზღვრებშია ჩაკეტილი“ (სუხიშვილი 2011: 513).

1.2 საკითხის შესწავლის ისტორიისათვის ქართულ ენაში

გვარის, ქცევისა და რეფლექსურობის საკითხის შესწავლას ქართულ ენაში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ბევრი ქართველი და უცხოელი მეცნიერი იყო დაინტერესებული ამ პრობლემით: ჰ. შუხარდტი, ნ. მარი, ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ფ. ერთელიშვილი, გ. მაჭავარიანი, გ. როგავა, ივ. ქავთარაძე, ვ. ბოედერი, ჰ. არონსონი, ბ. ჯორბენაძე, გ. ნებიერიძე, მ. მაჭავარიანი, ლ. ნოზაძე, ქ. ლომთათიძე, ი. მელიქიშვილი, დ. მელიქიშვილი, მ. სუხიშვილი, რ. ასათიანი, ე. ჰარისი, მ. ჩუხუა, თ. მახაროზიძე¹ და სხვ. აღსანიშნავია შედარებით ახალი კვლევებიც (ნ. ამირიძე, ტ. ლოიშნერი, ნ. ევსეევა, ი. სალაბერი, ტ. ბონდარენკო და სხვ.) (იხ. Amiridze...2002; Evseeva...2014; Bondarenko 2014).

ა. შანიძემ 1926 წელს ახსნა რეფლექსურობის არსი და აღნიშნა, რომ ამ დროს მოქმედება სუბიექტსავე უბრუნდება (შანიძე 1981)². ბ. ჯორბენაძე უკუქცევითობას ანუ რეფლექსურობას გამოყოფდა დამოუკიდებელ კატეგორიად, რომელსაც „მჭიდრო კავშირი აქვს ზმნის გვართან“, მაგრამ ცალკე დგას და განსხვავდება მისგან (ჯორბენაძე 1975: 18): „იგი არ ემთხვევა არც გვარს, არც გარდამავლობა-გარდაუვალობას და არც დინამიკურობა-სტატიკურობას. ეს სულ სხვადასხვა ენობრივი ცნებებია და მათი გაუმიჯნაობა გაუმართლებელი აღრევის მიზეზი შეიძლება გახდეს“ (იქვე: 91-92).

¹ ბიბლიოგრაფიაში ყველა ამ ნაშრომს არ ვასახელებთ, რადგან ჩვენთვის საინტერესო საკითხთან უშუალოდ არ არის დაკავშირებული (ჩამონათვალი იხ. ახალაია 2022: 16-18).

² ა. შანიძის ნაშრომი „ქართული ზმნის საქცევი“ პირველად დაიბეჭდა 1926 წელს „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის“ VI ტომში.

მ. სუხიშვილის მოსაზრებით, „უკუქცევითობა ქართულში უნდა განისაზღვროს სუბიექტის მიერ გამოხატული მოქმედების უკუქცევადობით თავის თავზე, როგორც პირდაპირ ობიექტზე. ამასთან, აუცილებელ პირობას წარმოადგენს სუბიექტსა და ამ ობიექტს შორის სრული რეფერენციალური იდენტურობის ჩვენება“ (სუხიშვილი 2011: 518-519). მაგ.: თავს იგდებს, თავს იქებს, თავს იტანჯავს, თავს იმშვეს, თავს იღლის...

აქვს თუ არა უკუქცევითობას, როგორც მორფოლოგიურ კატეგორიას, თავისი ნიშანი? არნ. ჩიქობავა ჯერ კიდევ 1967 წელს ი- პრეფიქსის ფუნქციებზე მსჯელობისას გამოყოფდა მის ორ ფუნქციას: სათავისო ქცევისას და ვნებითისას, თუმცა წერდა: „ამოსავლად მისთვის რეფლექსივის, უკუქცევითობის მნიშვნელობა ივარაუდება“ (Чикобава 1967: 47).

ფართო მნიშვნელობით, უკუქცევითობა მიჩნეულია ი- პრეფიქსის მქონე ყველა ზმნური ფორმის საერთო ფუნქციად³: „ი-წერს და ი-წერება ორივე უკუქცევითი ფორმაა, რეფლექსივია და ეს საერთო ფუნქცია გამოიხატება ი- პრეფიქსით. მათ შორის სემანტიკური სხვაობა (გვარისა და გარდამავლობის თვალსაზრისით) გამოიხატება იმით, რაც განსხვავებული აქვთ მათ – ყალიბით“ (ჯორბენაძე 1983: 107). მეცნიერი ასევე წერს, რომ ი- პრეფიქსი „გამოხატავს მოქმედების შედეგისა ან თვით მოქმედების უკუქცევას სუბიექტისა და ირიბი ობიექტისადმი: ვ-ი-ხატ-ავ, ვ-ი-ხატ-ებ-ი, მ-ი-ხატ-ავ...“ (იქვე: 225).

დ. მელიქიშვილის აზრით, რეფლექსივი დიათეზის მორფო-სინტაქსური კატეგორიის ერთ-ერთი კერძო გამოვლინებაა კაუზატივთან, გვართან და ვერსიასთან ერთად და მისი ნიშანია ერთპირიან კონსტრუქციაში „ი“ თავსართი (მელიქიშვილი 2014: 79-80).

გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებაც: „უკუქცევითობას სპეციალური მარკერი არ უჩანს: ი- პრეფიქსი პირდაპირი დამატების სუბიექტისაკენ მიმართებას (კუთვნილება-დანაშნულებას) აფიქსირებს და არა სუბიექტისა და პირდაპირი დამატების ფუნქციურ იდენტობას“ (სუხიშვილი 2011: 529).

მაინც რომელი ზმნური ფორმებია რეფლექსური? მ. სუხიშვილის აზრით, „ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში უკუქცევითებად განიხილება როგორც გარდამავალი, ასევე გარდაუვალი, როგორც მოქმედებითი და ვნებითი, ასევე საშუალო გვარის, კონკრეტულად კი ი-პრეფიქსიანი ზმნები“ (სუხიშვილი 2011: 512). მეცნიერი ი- თავსართის ორ ძირითად მნიშვნელობას გამოყოფს: რეფლექსურსა და მედიალურს (იქვე: 512).

„ი-“ პრეფიქსი ქართულში დასტურდება სხვადასხვა ჯგუფის ზმნებთან:

პირველი დიათეზა

1. **ორვალენტიანი ზმნების სასუბიექტო ვერსიის** ფორმებში: ვ-ი-კეთებ, ი-კეთებ, ი-კეთებს...

2. **სამვალენტიან ზმნებთან საობიექტო ვერსიის** ფორმებში I და II პირში (ობიექტური წყობის დროს): მ-ი-კეთებ-ს, გ-ი-კეთებს...

³ „ი“ თავსართის ფუნქციები სხვადასხვა ტიპის ზმნებში ერთმანეთთან დააკავშირა გივი ნეზიერიძემ (1976: 133-145).

3. **ერთვალენტიან ავტოაქტივებთან** (ე.წ. მედიოაქტივებთან) მყოფადის წრესა და II სერიის ფორმებში: მეფობს – ი-მეფებს – ი-მეფა, ჭიკჭიკებს – ი-ჭიკჭიკებს – ი-ჭიკჭიკა.

მეორე დიათეზა

4. **ერთვალენტიანებთან**: ი-ხრება, ი-პრანჭება, ი-ნგრევა...

5. **ორვალენტიან საობიექტო ვერსიის** I და II პირის ფორმებში (ობიექტური წყობის დროს): მ-ი-კეთდება-ა, გ-ი-კეთდება-ა...

6. **პოტენციალისებში**: ი-ჭმება, ი-სმება, ი-ცხოვრება...

7. **დეპონენსებში**: ი-ლანძღება, ი-კბინება, ი-ლოცება...

8. **მდგომარეობითობის** გამომხატველ ზოგ ზმნასთან: ი-გლოვს, ი-მღერს... ი-ცინის, ი-ღიმის//ი-ღიმება...

მესამე დიათეზა⁴

I და II პირის ფორმებში (ობიექტური წყობის დროს): მ-ი-ყვარს, მ-ი-ნდა და სხვ.

1.3 ახალი გამოკვლევები რეფლექსივების შესახებ

შედარებით ახალ გამოკვლევებში ყურადღება გამახვილდა რეფლექსივიზაციის სტრატეგიებსა და 'თავ' ნაცვალსახელის ფუნქციებზე (Amiridze... 2002; Amiridze 2006; Bondarenko 2014; Evseeva... 2014 და სხვ...). განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ნინო ამირიძის დისერტაცია, რომელშიც განხილულია უკუქცევითი ნაცვალსახელის გრამატიკალიზაციის პროცესი არსებითი სახელიდან ნაცვალსახელამდე და შესწავლილია რეფლექსივიზაციის საშუალებები ქართულში. ავტორი ეყრდნობა **ჩომსკის** მართვისა და ბმულობის თეორიას (Chomski 1981), **რაინჰარტისა** და **როილანდის** „რეფლექსურობის თეორიას“ (Reinhart...1993). ნაშრომში გამოყენებულია ელის ჰარისის ტერმინი object camouflage („ობიექტის შენიღბვა“) (Harris 1981), როდესაც ობიექტი რთული რეფლექსივითაა გამოხატული. მეცნიერი მართებულად ფიქრობს, რომ ქართულში გამიჯნულია ერთმანეთისაგან „თავ“ ნაცვალსახელი და რეფლექსივი. „რეფლექსივებად მის გამოყენებას სხეულის ნაწილის აღმნიშვნელი სახელის ლექსიკური სემანტიკა უნდა ედოს საფუძვლად, მესამე პირის ნაცვალსახელოვან ფრაზად გამოყენებას კი „თავ“-ის ზოგადად სახელური წარმოშობა“ (Amiridze 2006: 315).

სხვა უცხოელი ლინგვისტებიც დაინტერესდნენ 'თავ' არსებითი სახელის გრამატიკალიზაციის პროცესით (Bondarenko 2014) და ზმნებთან მისი გამოყენების თავისებურებით. ამ მხრივ საინტერესოა ევსეევასა და სალაბერის სტატია, რომელშიც განხილულია 'თავ'-ის აღმნიშვნელი არსებითი სახელების გრამატიკალიზაცია სხვადასხვა ენაში და მათი გადაქცევა რეფლექსივის მარკერებად. ქართული ენის გარდა, დასახელებულია ბერბერული და ბასკური ენები, რომლებშიც სიტყვა 'თავი' უკუქცევითობის გამომხატველია (Evseeva...2014). აქედან ჩანს, რომ ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ლექსიკის გრამატიკალიზაცია

⁴ ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა მსჯელობა 'თავ' ნაცვალსახელის გამოყენებაზე და არ განვიხილავთ ზმნურ რეფლექსივებს.

არაა მხოლოდ ქართველური მოვლენა⁵, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ამ საკითხს.

2. უკუქცევითი ნაცვალსახელი „თავი“

‘თავ’-ი ერთადერთი უკუქცევითი ნაცვალსახელია ქართულში. ის „თავისი შინაარსით ყველაზე უფრო უახლოვდება პირის ნაცვალსახელებს; მაგრამ, რადგანაც პირთა მიმართების თვალსაზრისით ის ნეიტრალურია, მიზანშეწონილია მის ძირითად ფუნქციად ეს საერთო – უკუქცევითობა – წამოვწიოთ“ (არაბული 2011: 173). ამავე ავტორთან შემდეგ ვკითხულობთ: „უკუქცევითი ნაცვალსახელი თავ-ი თავისთავად მეორეული წარმომავლობისაა, რამდენადაც ის შესაბამისი არსებითი სახელის განზოგადების შედეგს წარმოადგენს (რაც ერთგვარი სემანტიკური უნივერსალიაა)“ (იქვე: 173).

ქველ-ში თავ-ის მე-10 მნიშვნელობად გამოყოფილია მისი გამოყენება უკუქცევით ნაცვალსახელად, რომელიც აღნიშნავს საკუთარ პიროვნებას, თავის არსებას. საილუსტრაციო მაგალითებში დასახელებულია როგორც მარტივი, ისე რთული რეფლექსივები: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო (ანდაზა). მელა მახეში გაება, თავი მოიმძინარა, სიზმარი იქნებაო (ანდაზა). ძმები მუდამდღე სანადიროდ დაიარებოდნენ და იმით ირჩენდნენ თავს (ზღაპ.) და სხვ. ლექსიკონის მიხედვით, ფიცილის ფორმულებში ‘თავ’-ს აქვს საკუთარი სიცოცხლის მნიშვნელობაც: თავს გეფიცები! – „თავს გავწირავდი და საწყალ ხალხს – კი ვიხსნიდი“ (ი. მაჭავ. თარგმ.). „ვიფიქრე, ჩემს თავს შევსწირავ, მტლედ დავედები შვილებსა!“ (ს. მგალობ.) (ქველ).

როგორც ცნობილია, უკუქცევითი ნაცვალსახელი მჭიდროდაა დაკავშირებული ზმნის ქცევის კატეგორიასთან, განსაკუთრებით – სათავისო ქცევასთან, მაგრამ „თავ“ ნაცვალსახელთან ყოველთვის არაა აუცილებელი ზმნის სათავისო ქცევის ფორმა. შდრ. მე ვიქებ (ჩემს) თავს, შენ იქებ (შენს) თავს. მაგრამ შდრ. მე ვხატავ ჩემს თავს – მე ვიხატავ თავს (ეს ორი ფორმა ერთი და იმავე მნიშვნელობისა არაა: პირველ მაგალითში მოუბარი პირი ხატავს საკუთარ თავს, მეორეში კი იხატავს სხეულზე რამეს).

2.1 უკუქცევითი ნაცვალსახელი ‘თავ’-ი ძველ და საშუალო ქართულში

ჯერ კიდევ ძველ და საშუალო ქართულში ‘თავ’ უკუქცევითი ნაცვალსახელი გამოყენებული იყო როგორც ცალკე, ისე კუთვნილებით ნაცვალსახელთან ერთად. მისი ფუნქციები ძველი ქართულის ტექსტებში უკვე ჩამოყალიბებული ჩანს. სხვაობა მხოლოდ შებრუნებულ წყობასა და კუთვნილებითი ნაცვალსახელის შეკუმშულ ფორმაშია: თვისი, თჳსი ან თუისი. ძველი ქართული ენის კორპუსში თავი დადასტურებულია 7.322-ჯერ⁶; ამათგან თავი ჩემი – 192; თავი შენი – 437; თავი ჩუენი – 3, თავნი ჩვენნი – 11, თავნი ჩუენნი – 124; თავი თქუენი – 1, თავნი თქვენნი – 1, თავნი

⁵ ქართულში, მეგრულსა და სვანურში რეფლექსურობის გამოხატვის ლექსიკური საშუალება მსგავსია: ქართულში – ‘თავ’-ი, მეგრულში – ‘დუდ’-ი, ხოლო სვანურში – ‘თხვი’.

⁶ არ მიგვითითებია სხვა ბრუნვებში გამოყენებული მაგალითები. ძველი და საშუალო ქართულის მონაცემები შევამოწმეთ TITUS-ის ელექტრონული ტექსტების ბაზაშიც: <https://titus.uni-frankfurt.de/indexe.htm>

თქუენნი – 78; თავი მისი – 154, თავი თვისი – 43, თავი თჳსი – 1457, თავნი თვისნი – 7, თავნი თჳსნი – 298; თავი მათი – 17, თავნი მათნი – 86. ბაქარის ბიბლიაში მხოლოდ ერთხელ გვხვდება პირდაპირი წყობა: **ჩემი თავი, ბასილი კესარიელთანაც** („ექუსთა დღეთად“) ერთი მაგალითია: **შენი თავი.**

„შუშანიკის წამებაში“ უკუქცევითი ნაცვალსახელი 4-ჯერაა გამოყენებული, ერთს ახლავს მეორე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი, ხოლო სამს – მესამე პირისა:

(1) „წარსწყმიდე **თავი შენი** და ჩვენცა წარგვწყმიდენ“ (ძველი...1978: 28).

(2) „წმიდამან მან ცნა ზაკუვითი იგი ზრახვად მისი და მოიზლუდა **თავი მისი** მტკიცედ“ (ძველი...1978: 28).

(3) „რამეთუ ყოვლით კერძო-ვე **თავი თჳსი კრისტჳსგან** განაგდო“ (ძველი... 1978: 25).

(4) „რომელმან წარიწყმიდოს **თავი თჳსი**, მან პოოს იგი“ (ძველი...1978:39).

„აბოს წამებაში“ მხოლოდ ერთი მაგალითია:

(5) „შევჰრაცხე მორჩილ-ყოფად **თავი ჩემი** ბრძანებასა უფლისა ჩემისასა“ (ძველი... 1978: 58).

საშუალო ქართულის ტექსტებში უკვე საკმაოდ გავრცელებულია ‘თავ’ ნაცვალსახელი: **თავი ჩემი** – 50; **თავი შენი** – 18; **თავი მისი** – 15; **თავი თვისი** – 8; **თავი თჳსი** – 21; **თავი ჩვენი** – 2; **თავნი ჩვენი** – 3; **თავი თქვენი** – 1; **თავნი თქვენი** – 1; **თავი მათი** – 5; **თავნი მათნი** – 11; **თავის-თავისი** – 2. „ვეფხისტყაოსანში“ **თავი** სახელობითი ბრუნვის ფორმით 85-ჯერაა გამოყენებული, მაგრამ უკუქცევითი ნაცვალსახელი აქედან მხოლოდ 25 მაგალითშია.

მარტივი რეფლექსივები:

(6) „ესე მიჩს დიდად სახელად, არ **თავი** გამიქიქია!“ (რუსთ. 1975: სტრ. 19).

(7) „მამისა ტახტზე საჯდომად **თავი** არ ეღირსებოდა“ (რუსთ. 1975: სტრ. 47).

(8) „წა, შეები ხატაელთა, **თავი** კარგად გამაჩვენე“ (რუსთ. 1975: სტრ. 379).

(9) „აწ ეგრეცა **თავი** გამოიმართალე“ (რუსთ. 1975: სტრ. 456).

(10) „ხამს მოყვარე მოყვრისათვის **თავი** ჭირსა არ დამრიდად“ (რუსთ. 1975: სტრ. 703).

(11) „აწ ისრე მკვდარსა ვიგონებ, იშ, **თავი** ვისენ მე რულად!“ (რუსთ. 1975: სტრ. 1206).

(12) „ვა, საწუთროო, სიცრუვით **თავი** სატანას ადარე!“ (რუსთ. 1975: სტრ. 1213).

(13) „**თავი** ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი“ (რუსთ. 1975: სტრ. 15).

(14) „თუ ყვაგი ვარდსა იშოვნის, **თავი** ბულბული ჰგონია“ (რუსთ. 1975: სტრ. 1254).

რთული რეფლექსივები:

(15) „აზრად არად აღარა მცალს, **თავი ჩემი** მეგონების“ (რუსთ. 1975: სტრ. 126).

(16) „მე **თავი** ჩემი ნებითა ჩემითა მოგაკლვევინო“ (რუსთ. 1975: სტრ. 241).

(17) „აწ ეგრეცა **თავი ჩემი** დამიც შენთვის დასანდობლად“ (რუსთ. 1975: სტრ. 246).

(18) „არ მივეო ახლოს შეყრად. **თავი ჩემი** შევიწყალე“ (რუსთ. 1975: სტრ. 271).

(19) „ვისმცა მივეც **თავი შენი**, შენვე რადმე არ წამგვარო?!“ (რუსთ. 1975: სტრ. 535).

(20) „თუ **თავი შენი** შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“ (რუსთ. 1975: სტრ. 822).

(21) „მის მეფისა წესი იყო: **თავი მისი** ძვირად ფიცის“ (რუსთ. 1975: სტრ. 575).

(22) „**თავსა მისსა** უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს“ (რუსთ. 1975: სტრ. 1492).

აღსანიშნავია, რომ მოთხრობით ბრუნვაში დასმული ნაცვალსახელი ფიცილის ფორმულებს ქმნის: **თავმან ჩემმან, თავმან თქვენმან, თავმან მისმან**:

(23) „**თავმან ჩემმან**, თავსა მოგკვეთ, არად უნდა ამას ცილი“ (რუსთ. 1975: სტრ. 759).

(24) „აწ, **თავმან ჩემმან**, მას მოვკლავ, ჩემად დად ვინცა მადესა“ (რუსთ. 1975: სტრ. 574).

(25) „ამას გკადრებ, **თავმან თქვენმან**, არა გმართებს მაღლი ძღვნისა“ (რუსთ. 1975: სტრ. 1169).

(26) „**თავმან მისმან**, ფიცით გეტყვი შენ ვაზირსა, ოსტასრასა“ (რუსთ. 1975: სტრ. 737).

ამ მაგალითებში, ახალი ქართულისაგან განსხვავებით, კუთვნილებითი ნაცვალსახელი პოსტპოზიციური წყობითაა გამოყენებული.

დადასტურდა ‘თავის-თავის’ ფორმაც:

(27) „იუზნეს და გააცხადნეს თავის-თავის მათნი ჭირნი“ (რუსთ. 1975: სტრ. 925).

2.2. უკუქცევითი ნაცვალსახელი ახალ ქართულ ენაში (ეროვნული კორპუსის მიხედვით)

ქართული ენის ეროვნული კორპუსის⁷ მიხედვით, ახალ ქართულ ენაში (მხატვრულიტერატურასადაპუბლიცისტიკისენაში) ‘თავ’ ნაცვალსახელი ძალიან ხშირად გამოიყენება. **თავი** პირდაპირი მნიშვნელობით შედარებით მცირე რაოდენობითაა, უკუქცევით ნაცვალსახელად კი – ხშირად (სულ **თავი** გვხვდება 98.072 მაგალითში).

კუთვნილებით ნაცვალსახელთან ერთად:

ჩემი თავი – 1351 (6927)⁸; **შენი თავი** – 564 (3056); **მისი თავი** – 161 (5403);

თავისი თავი – 1124 (11068); **თავ-თავისი** – 184 (396);

⁷ მონაცემები მოგვყავს ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან: <http://gnc.gov.ge/gnc/concordance>

⁸ პირველი რიცხვი აჩვენებს სახელობით ბრუნვაში მდგარ ნაცვალსახელს; მეორე კი – სხვა ბრუნვებთან ერთად.

ჩვენი თავი – 386 (5048); **თქვენი თავი** – 226 (1532); **მათი თავი** – 33 (5203);

თავიანთი თავი – 137 (954); **თავ-თავიანთი** – 213 (483).

ეს მაგალითები მოწმობს, რამდენად გავრცელებულია ახალ ქართულში უკუქცევითი ნაცვალსახელი და შესაძლებლობას გვაძლევს, შევისწავლოთ მისი ფუნქციები.

2.3 უკუქცევითი ნაცვალსახელის ფუნქციები და გამოყენება

2.3.1 რეფლექსური ნაცვალსახელის ფუნქციები

როცა 'თავი' ადამიანის ფიზიკურ ორგანოს არ აღნიშნავს, მას გადატანითი მნიშვნელობა აქვს, ხდება მისი გრამატიკალიზაცია და ის ნაცვალსახელი ხდება. ამ შემთხვევაში იდენტური შეიძლება იყოს არა მარტო სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი, არამედ სუბიექტი და ირიბი ობიექტიც (მეორე დიათეზის ზმნებთან): ის ელაპარაკება **თავის თავს**, ის ეპრანჭება **თავის თავს**, ის ეთანხმება **თავის თავს**... მესამე დიათეზის ზმნებთან რეალური სუბიექტი იდენტურია რეალური ობიექტისა: მას მოსწონს **თავისი თავი**, მას უყვარს **თავისი თავი**...

ხაზი უნდა გაესვას, რომ 'თავ'-ი არასოდეს გამოიყენება **ნულ-** და **ერთვალენტთან** ზმნებთან ერთად⁹, ხოლო ორ- ან სამვალენტთან უმეტესად ანაცვლებს **პირდაპირ** ობიექტს (თავი მოიწონა, თავი შეიყვარა...), იშვიათად – **ირიბ** ობიექტს (**თავს** ემალება, **თავს** ესაუბრება...) ან რეალურ ობიექტს, ანუ გრამატიკულ სუბიექტს (**თავი** ჰგონია, **თავი** სძულს...).

ვფიქრობთ, ქართულში ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ 'თავ'-ი როგორც უკუქცევითი ნაცვალსახელი, რომელმაც ჩაანაცვლა ობიექტი (ზოგჯერ – სუბიექტი) და 'თავ'-ი, რომელიც ზმნასთან ერთად მყარ გამოთქმად, იდიომადაა ქცეული და მის გარეშე ზმნის მნიშვნელობა იცვლება. ერთი მხრივ, შენ იბან//ან შენ იბან **თავს** და, მეორე მხრივ, ზმნები, რომლებთანაც 'თავი' აუცილებელია: **თავი** შეირცხვინა, **თავი** მოიჭრა, **თავი** გაიმასხარავა, **თავი** მოიგიჟიანა, **თავი** მოიმძინარა, **თავი** შეიკავა, **თავი** ირჩინა... **თავი** შეაკლა, **თავი** აარიდა, **თავი** დადო, **თავი** მიანება, **თავი** დააღწია... ჩამოთვლილ ზმნათა უმრავლესობას **სათავისო** ქცევის ფორმა აქვს, მაგრამ არც ერთი არ გამოიყენება 'თავ'-ის გარეშე (თუ რომელიმე გვხვდება, მნიშვნელობა შეცვლილი აქვს: შდრ.: აირიდა საფრთხე – თავი აარიდა საფრთხეს – აარიდა სხვას საფრთხე).

1. **პირველ ჯგუფში** ორ ქვეჯგუფი უნდა გამოიყოს:

ა) **კუთვნ. ნაცვ. + 'თავ':** შენ აფასებ შენს თავს, შენ მალავ შენს თავს... ვფიცავ შენს თავს, შენი თავი მიმყოფოს ღმერთმა... ის ემალება თავის თავს...

ბ) **'თავ' ნაცვ. + ზმნის სათავისო ქცევის ფორმა:** (თავისი) თავი შეიქო, თავი გაილანძლა, თავი დაიმცირა, თავი შეიცნო, თავი აღიდგინა...

2. **მეორე ჯგუფი** მოიცავს მყარ გამოთქმებს და იდიომადაა ქცეული:

ა) თავი შეირცხვინა, თავი დაიმდაბლა, თავი აიგდო, თავი შეიქცია, თავი იმტვრია, თავი დაიმცვრინა, თავი გაიმასხრა, თავი გაიპამპულა, თავი დაიმკვიდრა, თავი შეიკავა, თავი (გა)იმართლა...

⁹ ერთვალენტთან ზმნებთან შესაძლებელია სუბიექტის დაზუსტება **თვით** ან **თავად** ნაცვალსახელებით, თუმცა ამის აუცილებლობა არაა (მაგ.: ის თვითონ/თავად დგას, ის თვითონ ზის).

ბ) ზოგიერთ გამოთქმაში ზმნას არც სჭირდება **სათავისო ქცევის** ფორმა: თავი გაართვა, თავი მოაბა, თავი დაანება//მიანება, თავი აარიდა, თავი დაადწია, თავი მოაბეზრა, თავი მიაკლა, თავი მოაჩვენა, თავი მოუყარა (შდრ. თავი მოიყარეს), თავი გამოიჩინა, თავი გაწირა, თავი დადო, თავი მიუძღვნა...

‘თავ’-ი უკუქცევითი ნაცვალსახელია, როცა ის სინტაქსურად **პირდაპირი ობიექტის** ფუნქციას ასრულებს ზმნის **სათავისო ქცევის** ფორმებთან: თავი მოიკლა (შდრ. მოკლა, მოუკლა), თავი ჩამოიხრჩო (შდრ. ჩამოახრჩო), თავი ისახელა (შდრ. ასახელა), თავი მოიწონა (შდრ. მოაწონა), თავი შეირცხვინა (შდრ. შეარცხვინა), თავი მოიჭრა (შდრ. მოაჭრა), თავი გაიმართლა (შდრ. გაამართლა), თავი გამოიჩინა (შდრ. გამოაჩინა), თავი შეიქცია (შდრ. შეაქცია), თავი არ იცოცხლა (შდრ. აცოცხლა)¹⁰...

უკუქცევითი ნაცვალსახელი ზოგჯერ დგას საარვისო ან სასხვისო ქცევის ფორმასთანაც: თავს გრძნობს (კარგად, ცუდად), თავი გაუყადრა (ვიდაცას)...

გამოყოფენ ე. წ. **არასრულ** (ნაწილობრივ) და **სრულ რეფლექსივობა-ცის**. მ. სუხიშვილი **პირველს** განაკუთვნებს სომატიზმებს, რომელთაც უკუქცევითი ნაცვალსახელის ფუნქცია აქვთ: ფეხს მოიტეხს, მუხლს მოიდრეკს, წვერს იპარსავს (სუხიშვილი 2011: 519-524)... მეცნიერის აზრით, სრული რეფლექსივობის დროს „დაცულია სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის **სრული** რეფერენციალური იდენტურობის პირობა“: თავს იკლავს, თავს იზღვევს, თავს იზღუდავს, თავს იცხელებს და სხვ. (იქვე: 524).

2.3.2 რთული რეფლექსივების გამოყენების საჭიროება

რამ განაპირობა რთული რეფლექსივების გამოყენების აუცილებლობა? დაკვირვება გვიჩვენებს, თუკი ორ- ან სამვალენტური ზმნაში სუბიექტი და ობიექტი პირველი ან მეორე პირია (ანუ ორივე არის კომუნიკაციის მონაწილე) და ზმნაში ობიექტური პირის ნიშნითაა (მ-, გ-, გვ-) გამოხატული, უკუქცევით ნაცვალსახელთან ერთად აუცილებელია კუთვნილებითიც: ღმერთმა მაჩუქა **შენი თავი** (შეუძლებელია პირდაპირი დამატება იყოს მეორე პირის ფორმა, რადგან ირიბი ობიექტი პირველი პირია), **შენი თავი** მიცოცხლოს უფალმა, **თქვენი თავი** ნუ მომიშალოს ღმერთმა// **თქვენი თავი** არ მომეშალოს, დალოცვილი მყავდეს **შენი თავი**... (შესაძლებელია ასეც: დალოცვილი მყავდე).

კორპუსული მონაცემებიც ადასტურებს, რომ უკუქცევითობის სემანტიკის მქონე ‘თავ’ ნაცვალსახელი საკმაოდ ხშირად გამოიყენება ზმნებთან პირველი ან მეორე პირის ნაცვალსახელის ფუნქციით, თუკი სუბიექტი ობიექტის იდენტურია (ანუ დასტურდება რეფერენციალური იდენტურობა): შენ გიყვარს **შენი თავი**, მე ვლანძღავ **ჩემს თავს**...

ერთი შეხედვით, შეიძლება გვეგონოს, რომ მესამე პირში მდგომ ზმნასთან აღარაა საჭირო ‘თავ’ ნაცვალსახელი, მაგრამ ასეთი შემთხვევებიც დადასტურდა: მიზეზი კი ისაა, რომ სუბიექტიცა და ობიექტიც იდენტური

¹⁰ ცხადია, ამ ჯგუფში არ შედის შემთხვევები, როცა ‘თავ’-ი პირდაპირი მნიშვნელობით გვხვდება: თავი გადაიპარსა, თავი დახარა, თავი ასწია, თავი გაიტეხა, თავი მიართყა, თავი ასტკივდა, თავი გაუსივდა...

პირებია, ხოლო მოქმედება უკუიქცევა სუბიექტისკენ: **თავისი თავი// საკუთარი თავი**. შდრ. ის ლანძღავს/აქებს მას (ანუ სხვას) და ის ლანძღავს/აქებს თავის თავს (შდრ. ის ილანძღავს/იქებს თავს)...

ამ ფორმათა საკომპენსაციოდ ქართულ ზმნას აქვს ქცევის კატეგორია, კერძოდ, **სათავისო ქცევის** ფორმა, რომელსაც იშვიათად სჭირდება **თავი** ან **თავისი თავი**. უცხოა ასეთი ფორმები: მან მოიტეხა თავისი ფეხი*. მსგავს მაგალითებში არაა კუთვნილებითი ნაცვალსახელის გამოყენების აუცილებლობა, რადგან ეს მიმართება უკვე გამოხატულია სათავისო ქცევის ი- ხმოვანპრეფიქსით.

ვფიქრობთ, რეფლექსივიზაციის სტრატეგიების შესწავლა საინტერესოა არა მარტო მონათესავე, არამედ არამონათესავე ენებთან შეპირისპირებითაც, რომ კიდევ ერთხელ გამოვლინდეს, რამდენად განსხვავებულია სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხის მსოფლხედვა.¹¹

დასკვნები

რეფლექსურობას, როგორც უნივერსალურ სემანტიკურ კატეგორიას, ქართულ ენაში ბევრმა ენათმეცნიერმა მიაქცია ყურადღება და შეისწავლა მისი სხვადასხვა ასპექტი, განსაკუთრებით – მორფოლოგიური თავისებურებები (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ფ. ერთელიშვილი, გ. ნებიერიძე, გ. მაჭავარიანი, ბ. ჯორბენაძე, ვ. ბოედერი, მ. მაჭავარიანი, ნ. სალაძე, მ. სუხიშვილი, ნ. ამირიძე...).

რეფლექსურობა ანუ უკუიქცევითობა გულისხმობს მოქმედების უკუიქცევას სუბიექტზე, როცა სუბიექტი და ობიექტი ერთი და იგივეა, იდენტური (კორეფერენტული) პირებია. ქართულ ენაში ლექსიკურად რეფლექსურობა გამოიხატება შესაბამის ბრუნვაში დასმული 'თავ' უკუიქცევითი ნაცვალსახელით. მარტივი და რთული რეფლექსივები გვხვდება უკვე ძველი და საშუალო ქართულის ტექსტებში. ამ ნაცვალსახელის ძირითადი ფუნქციები იმ დროს უკვე ჩამოყალიბებული ჩანს და მას შემდეგ დიდი ცვლილება არ განუცდია (გარდა პოზიციის ცვლილებისა და მესამე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის შეუკუმშავი ფორმის გავრცელებისა).

ზედაპირულ დონეზე ქართულ ენაში შეუძლებელია სუბიექტიცა და ობიექტიც იყოს ერთი და იგივე პირი, ამიტომ ამ შინაარსის გადმოცემისას ენა მიმართავს გარკვეულ სტრატეგიას: იყენებს არსებითი სახელისგან რეფლექსივად ქცეულ 'თავ' ნაცვალსახელს, რომელიც გამოხატავს მოქმედების უკუიქცევას (ანუ დაბრუნებას) სუბიექტზე, ზოგჯერ – ობიექტზეც. ახალ ქართულში 'თავ'-ი არ გვხვდება ნულ- და ერთვალენტთან ფორმებში, მაგრამ გამოიყენება სამივე დიათეზის ორ- და სამვალენტთან ზმნებთან.

შინაარსის დასაზუსტებლად უკუიქცევითი ნაცვალსახელი შეიძლება გართულდეს შესაბამისი კუთვნილებითი ნაცვალსახელით: **ჩემი/ჩვენი თავი, შენი/თქვენი თავი, მისი/თავისი თავი, მათი თავი**. ზმნასთან დაკავშირებული 'თავ' ნაცვალსახელი ფორმალურად ყოველთვის მესამე პირია, თუმცა შეიძლება აღნიშნავდეს პირველ ან მეორე პირს. დაუშვებელი კომბინაციაა: მე ვხატავ მეს*, უნდა იყოს **ჩემს თავს**, შენ ხატავ შენ* – ამის

¹¹ ამ ტიპის კვლევა სამომავლოდ გვაქვს დაგეგმილი.

ნაცვლად: შენ ხატავ შენს თავს, ის ხატავს თავის თავს (სწორედ ასეთ ფორმებს უწოდებს ნ. ამირიძე **რთულ რეფლექსივებს**).

უკუქცევითი ნაცვალსახელი მჭიდროდაა დაკავშირებული ზმნის სათავისო ქცევასთან, მაგრამ ყოველთვის არაა აუცილებელი ‘თავ’ ნაცვალსახელთან ზმნის სათავისო ქცევის ფორმა. შდრ. **მე ვხატავ ჩემს თავს – მე ვიხატავ თავს, მე ვიქებ (ჩემს) თავს, შენ იქებ (შენს) თავს, მე ვიმშვიდებ თავს.**

ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ, ერთი მხრივ, პირდაპირი მნიშვნელობით გამოყენებული ‘თავი’: **შენ იხან თავს, შენ იტკივებ თავს...** მეორე მხრივ კი, უკუქცევითობის გამომხატველი, რომელიც ზმნასთან ერთად ქმნის მყარ გამონათქვამს, იდიომს. ასეთ შემთხვევაში მისი ჩანაცვლება რომელიმე სხვა სიტყვით შეუძლებელია: **თავი შეაკლა, თავი შეირცხვინა, თავი მოიჭრა, თავი გაიმასხარავა, თავი მოიგიჟიანა, თავი მოიმძინარა, თავი აარიდა, თავი დასდო, თავი შეიკავა, თავი მიანება, თავი დააღწია, თავს ირჩინა...**

დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

არაბული 2011: არაბული ა., თ. V. ნაცვალსახელი, წიგნში: გ. გოგოლაშვილი, ა. არაბული, მ. სუხიშვილი, მ. მანჯგალაძე, ნ. ჭუმბურიძე, ნ. ჯორბენაძე, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია: სალიტერატურო ენა (გ. გოგოლაშვილისა და ა. არაბულის რედაქციით). თბილისი, 2011, 168-188.

ახალაია 2022: ახალაია ნ., რეფლექსივის კატეგორიისათვის მეგრულ-ლაზურში. საენათმეცნიერო ძიებანი, XLIII, 2022, 3-19.

მელიქიშვილი 2001: მელიქიშვილი დ., ქართული ზმნის უღლების სისტემა. თბილისი, 2001.

მელიქიშვილი 2014: მელიქიშვილი დ., ქართული ზმნის სისტემური მორფოსინტაქსური ანალიზი. თბილისი, 2014.

ნებიერიძე 1976: ნებიერიძე გ., ქცევის კატეგორია ქართულში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1976, №4, 132-145.

რუსთ. 1975: შ. რუსთაველი, ვეფხის ტყაოსანი. პირველი ბეჭდური გამოცემა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ. თბილისი, 1975.

სუხიშვილი 2011: სუხიშვილი მ., 4.4. უკუქცევითობა, წიგნში: გ. გოგოლაშვილი, ა. არაბული, მ. სუხიშვილი, მ. მანჯგალაძე, ნ. ჭუმბურიძე, ნ. ჯორბენაძე, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია: სალიტერატურო ენა (გ. გოგოლაშვილისა და ა. არაბულის რედაქციით). თბილისი, 2011, 510-538.

ქეგლ: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ელვერსია). <http://ena.ge/explanatory-online>. დამოწმება: 29.09.2023.

ქეეც: ქართული ენის ეროვნული კორპუსი. <http://gnc.gov.ge/gnc/simple-query> დამოწმება: 29.09.2023.

შანიძე 1981: შანიძე ა., ქართული ზმნის საქცევი. თხზულებები 12 ტომად, ტ. II, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები. თბილისი, 1981.

ძველი... 1978: ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები (წიგნი გამოსაცემად მოამზადა ივ. ლოლაშვილმა). თბილისი, 1978.

ჯორბენაძე 1983: ჯორბენაძე ბ., ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში. თბილისი, 1983.

Amiridze... 2002: Amiridze N., Leuschner T. Body-part nouns as a source of reflexives: Towards a grammaticalization account of Georgian tav- ‘head’. *Sprachtypologie und Universalienforschung*, 55, 2002, 259–276.

Amiridze 2006: Amiridze N., *Reflexivization Strategies in Georgian*. LOT Dissertation Series 127. Utrecht, Netherlands, 2006.

Bondarenko 2014: Bondarenko T., *Reflexivization strategies and argument structure in Georgian*. Formal Semantics and Anaphora, HSE, 2014.

Chomski 1981: Chomski N., *Lectures on Government and Binding*. Dordrecht, Neth.: Foris Publications, 1981.

Evseeva... 2014: Evseeva N., Salaberri I., Grammaticalization of nouns meaning ‘head’ into reflexive markers: A cross-linguistic study. *Linguistic Typology*, vol. 22, no. 3, 2018, 385–435. <https://doi.org/10.1515/lingty-2018-0014>. დამოწმება: 29.09.2023.

Harris 1981: Harris A., *Georgian Syntax*. Cambridge University Press, Cambridge, 1981.

Reinhart... 1993: Reinhart, Reuland E., Reflexivity. *Linguistic Inquiry*, 24, 657–720, 1993.

TITUS: Index – Thesaurus Indogermanischer Text- und Sprachmaterialien. <https://titus.uni-frankfurt.de/indexe.htm>. დამოწმება: 29.09.2023.

ЛЭС 1990: Лингвистический энциклопедический словарь. Гл. Ред. В. Н. Ярцева. Москва, 1990.

Чикобава 1967: Чикобава А., *Грузинский язык. Языки народов СССР, том IV*. Москва, 1967.